საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

№16 ზონაში შემავალი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების (თბილისი-სენაკი-ლესელიძის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ 143.4-173; ხაშური-ახალციხე-ვალე (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ.1-50; ბორჯომი-ბაკურიანი-ახალქალაქის საავტომობილო გზის კმ.1-54; ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის კმ.41-51; რიკოთის გვირაბის შემოსავლელი გზის კმ.1-კმ4; დაბა ბაკურიანის წრიული გზის კმ.1-3; დაბა ბაკურიანის დიდველის სათხილამურო კომპლექსთან მისასვლელი გზის კმ1-2.6; ბორჯომი-ბაღი-ტბა-ცემის საავტომობილო გზის კმ.1-13; წაღვერი-კიმოთესუბანი-ტაძარის საავტომობილო გზის კმ.1-4 მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) სამუშაოების

ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვის

ს ა ტ ე ნ დ ე რ ო დ ო კ უ მ ე ნ ტ ა ც ი ა

თბილისი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის----------3

2. ტექნიკური დოკუმენტაცია----------8

3. ტექნიკური პირობები ----------13

4. გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა და ფასები ----------22

5. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი----------23

6. დამატებითი ინფორმაცია----------35

7. დანართი №1, აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა----------36

8. დანართი №2----------37

9. დანართი №3 ხელშეკრულების შესრულების გარანტიის

საილუსტრაციო ფორმა----------38

10. ხარჯთაღრიცხვა, დანართი №4----------39

1.ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში- სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" შესაბამისად.

1.2. სატენდერო წინადადების წარდგენისათვის უნდა იყოთ დარეგისტრირებული სისტემაში მიმწოდებლის სტატუსით. შემდეგ ვალდებული ხართ გაეცნოთ აფიდავიტს და დაეთანხმოთ მას (გაცნობას და თანხმობას ადასტურებთ სისტემის მეშვეობით). აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა იხ. დანართი №1.

1.3. ამის შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია ჯერ წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია, ხოლო შემდეგ გადაიხადოს ტენდერში მონაწილეობის საფასური.

1.4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით. ტენდერში მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 ლარს.

1.5. ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების დროებითი ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში, ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა ყოველ კონკრეტულ ტენდერში შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშე.

1.6. ამ ინსტრუქციის 1.5. პუნქტის გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც ხდება ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა სისტემის გამოყენების გარეშე, ელექტრონული გარანტიის დედანი და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინება შემსყიდველ ორგანიზაციას. აღნიშნული ქმედებების განხორციელების გარეშე თქვენ არ გექნებათ სატენდერო წინადადების წარდგენისა და შესაბამისად ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა.

1.7. ელექტრონული გარანტიის ოდენობა შეადგენს ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1 (ერთ) პროცენტს, ხოლო გარანტიის მოქმედების ვადა შეადგენს სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დაწყებიდან არანაკლებ 160 კალენდარულ დღეს.

1.8. მას შემდეგ, რაც ზემოთაღნიშნულ ქმედებებს განახორციელებთ, თქვენ უფლება გაქვთ სისტემის მეშვეობით წარადგინოთ სატენდერო წინადადება, რომელიც ძალაშია "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული

ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის "ჟ", "რ", ან "ტ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

1.9. სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისგან და ტექნიკური დოკუმენტაციისგან.

1.10. ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, გარდა ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა.

1.11. ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მიუთითოთ თქვენი სატენდერო წინადადების ფასი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

1.12. სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანავე თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც იყოფა ძირითად დროდ და დამატებით 3 რაუნდად.

1.13. ძირითად დროში უფლება გაქვთ ცვალოთ თქვენი ფასი, კლებადობის პრინციპის გათვალისწინებით და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ბიჯზე არანაკლები ოდენობით.

1.14. ბიჯი არის სატენდერო წინადადების ფასის კლების წინასწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში.

1.15. დამატებითი რაუნდების თითოეულ რაუნდში პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც განესაზღვრება ორი წუთი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის და პრეტენდენტს უფლება აქვს რაუნდში მონაწილეობა არ მიიღოს და, შესაბამისად, ძალაში დარჩება
მის მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი. რაუნდებში მონაწილეობის მიღება გულისხმობს ზემოთ აღნიშნული პრინციპით ფასის შემცირებას ან მის იგივე ოდენობით დატოვებას.

1.16. დამატებით რაუნდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებმაც ძირითად დროში წარადგინეს წინადადება დადგენილი წესით. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინადადების ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ მომდევნო რაუნდში-კი ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც პირველმა დააფიქსირა ასეთი ფასი.

1.17. მას შემდეგ, რაც დასრულდება დამატებითი რაუნდები, სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით. ამის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწმდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია.

1.18. იმ შემთხვევაში თუ ორი და მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია თანაბარი ფასი, სისტემა ავტომატურად ანიჭებს უპირატესობას იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა სატენდერო წინადადების აღნიშნული ფასი.

1.19. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი მას განუსაზღვრავს არაუმეტეს 3 დღისა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისათვის. დაუშვებელია ტექნიკური დოკუმენტაციის ისეთი დაზუსტება, რომელიც გამოიწვევს სატენდერო წინადადების არსებით ცვლილებას და მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე.

1.20. თუ პრეტენდენტის სატენდერო წინადადება შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს მას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაცემი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით.

1.21. იმ შემთხვევაში თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა წარმატებით გაიარა ყველა ზემოთ მოყვანილი ეტაპი (არ იქნა დისკვალიფიცირებული), ამ პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, შემსყიდველი დებს მასთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას.

1.22. პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუმის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-12 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების გათვალისწინებით, არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას;

ბ) თუ პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე;

გ) თუ მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას;

დ) თუ ის არ დააზუსტებს ტექნიკურ დოკუმენტაციას "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-12 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ ვადაში;

ე) თუ ის არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს ამ წესის მოთხოვნატა დაცვით;

ვ) თუ ის არის "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-15 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გამარჯვებული პრეტენდენტი და უარს აცხადებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე ან არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას;

ზ) თუ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ცაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას;

1.23. ამ ინსტრუქციის 1,22, ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს.

1.24. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას, "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის "ჟ", "რ", და "ტ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის შემდეგ ელექტრონული გარანტია უბრუნდება პრეტენდენტს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

ა) პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე;

ბ) პრეტენდენტი შეყვანილია შავ სიაში შესაბამისი ტენდერის ჩატარების შედეგად;

გ) პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ", "გ", "ე", "ზ", ქვეპუნქტების შესაბამისად.

1.25. იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული გარანტიის პრეტენდენტისთვის დაბრუნება მოხდება ამ ინსტრუქციის 1.24. პუნქტით დადგენილი პირობების დარღვევით, პრეტენდენტი ვალდებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაუბრუნოს საგარანტიო თანხა შესაბამისი მოთხოვნისთანავე.

1.26. ელექტრონული ტენდერის შეწყვეტა:

ა) სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ, თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას;

ბ) სატენდერო კომისიას უფლება აქვს გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდა მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;

გ) შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის პრეტენდენტს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერების ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, აანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.27. ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტის ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.28. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.29. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/ და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.30. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.31. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

2.ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი ცნობები და დოკუმენტები:

2.1.1. იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

გ) ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

2.1.2. ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება:

ბ) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

2.1.3. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი დანართი №2-ის მიხედვით;

ბ) ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა) დანართი №4-ის შესაბამისად.

გ) ინფორმაცია სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ.

პრეტენდენტ პირს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) თანამედროვე ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი, სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული მანქანა-მექანიზმები. ამასთან, უშუალოდ პრეტენდენტ პირს (ქვე-კონტრაქტორის გარეშე) საკუთრებაში უნდა გააჩნდეს ტექნიკური პირობების 3.8. პუნქტის 1-9 პოზიციებით მოთხოვნილი მანქანა-მექანიზმების მთლიანი რაოდენობის არანაკლებ 50%-ისა.

ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

№	მანქანა-	აღწერილობა,	რაოდენობა	მდგომარეობა	საკუთრება:

	მექანიზმების დასახელება	მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი		(ახალი, ნახმარი, მოძველებული)	მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა. წარმოდგენილი უნდა იქნას მექანიზმის ტექნიკური პასპორტების, ან/და საკუთრების დამადასტურებელი (აუდიტის დასკვნა ან სხვ. დოკ.) დოკუმენტის ასლები. იჯარის შემთხვევაში წარმოდგენილი იქნას შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებები
1 2 და ა.შ.					

დ) ინფორმაცია პრეტენდენტი პირის ძირითად სპეციალისტთა (იმ ძირითადი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაზე) კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ.

პრეტენდენტი პირის მიერ წარმოდგენილი ძირითადი სპეციალისტების 50% უნდა გააჩნდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის (საავტომობილო გზების რეაბილიტაცია; ან/და პერიოდული შეკეთება; ან/და სტიქიური მოვლენების ლიკვიდაცია და პრევენცია; ან/და მიმდინარე შეკეთება) სამუშაოების შესრულების არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება.

ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

თანამდებობა, სპეციალობა	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება	ბიოგრაფიული მონაცემები (ინსტიტუტის დამთავრების წელი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ორგანიზაციების დასახელება და ამ ორგანიზაციებში დაკავებული თანამდებობები წლების მიხედვით).
1				
2				
და ა.შ.				

ე) ინფორმაცია პრეტენდენტი პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) და მიმდინარე წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების გამოცდილების შესახებ.

პრეტენდენტ პირს უკანასკნელი 3 (სამი) და მიმდინარე წლის განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოები (საავტომობილო გზების რეაბილიტაცია; ან/და პერიოდული შეკეთება; ან/და სტიქიური მოვლენების ლიკვიდაცია და პრევენცია; ან/და მიმდინარე შეკეთება) საერთო ღირებულებით

4 000 000 ლარის ოდენობით. უშუალოდ პრეტენდენტი პირის (ქვე-კონტრაქტორის გარეშე) გამოცდილება უნდა შეადგენდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების საერთო გამოცდილების არა ნაკლებ 60%.

ამასთან ამ პერიოდში, პრეტენდენტ პირს ან/და ქვე-კონტრაქტორს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ერთ-ერთ ობიექტზე შესრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოები ღირებულებით **1 100 000** ლარის ოდენობით.

პრეტენდენტმა პირმა უნდა წარმოადგინოს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებების და ამ სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები (სამუშაოების შესრულების აქტი, ან/და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა). ეს მოთხოვნა არ ვრცელდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებზე.

ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

№	სამუშაოების დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით)	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება
1				
2				
და ა.შ.				

ვ) ინფორმაცია ქვე-კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების შესახებ.

-- შენიშვნა: ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორზე წარმოდგენილი იქნას შემდეგი სახის ინფორმაცია.

* ქვე-კონტრაქტორის დასახელება და მისამართი;
* შესასრულებელი სამუშაოების დასახელება;
* შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება;
* ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება. წარმოდგენილი იქნას ის ძირითადი ობიექტები, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს შესრულებული აქვს ანალოგიური სამუშაოები, თანხების და შესრულების ვადების მითითებით. წარმოდგენილი უნდა იქნას ასევე ამ ობიქეტებზე ხელშეკრულებების ასლები და სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები–სამუშაოების შესრულების აქტი, ან/და შესრულებული სამუშაოების

მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებზე.

ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად

ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი)	შესასრულებელი სამუშაოების დასახელება	შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება	ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება
1			
2			
და ა.შ.			

ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში. ქვე-კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესასრულებელი სამუშაოების მთლიანი მოცულობის 40%.

ზ) ინფორმაცია ზამთრის პერიოდში საყრდენი პუნქტების მოწყობის შესახებ. წარმოდგენილი იქნას საყრდენი პუნქტების განლაგებისა და აღჭურვის სქემა.

შენიშვნა:

1. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა უცხო ქვეყნის პირებმა ზემოთ აღნიშნული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი სამსახურებიდან, დამოწმებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული).

2. იმ შემთხვევაში, როდესაც ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალი იქნება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ან/და ამ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა.

2.2. ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის თარიღი არ უნდა უსწრებდეს სატენდერო წინადადებების მიღების დაწყების თარიღს.

2.3. ამ პუნქტის 2.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებული, ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილი უნდა იქნეს შემსყიდველ ორგანიზაციაში მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა უცხო ქვეყნის პირებმა ზემოთ აღნიშნული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული და

დამოწმებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული).

2.4. პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტემის მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდენს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

2.5. პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი ამ პუნქტის 2.1.3. ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მონაცემები ელექტრონულ სისტემაში უნდა აიტვირთოს ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად.

2.6. ანგარიშსწორების პირობები:

2.6.1. სატენდერო წინადადების საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით,

2.6.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

2.6.3. ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების და დადასტურებული მოცულობების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 28 დღის განმავლობაში.

2.6.3. მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში გამოიყენება წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი). ავანსის გაცემის წესი და პირობები მოცემულია ხელშეკრულების პროექტში;

2.7. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:

2.7.1. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3%-ის ოდენობით, დანართი №3-ის მიხედვით.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალი იქნება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს გამარჯვებულ მიმწოდებელს მოსთხოვოს ხელშეკრულების შესრულების გარანტია 6%-დან 10%-მდე ოდენობით.

2.7.2. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

3.ტექნიკური პირობები

3.1. სამუშაოების შესრულების ვადა:

2014--2015 წლების განმავლობაში, მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად. სამუშაოების დაწყება განისაზღვრება 2013 წლის 13 მარტს გაფორმებული ე.ტ.№23-13 ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოებისათვის გათვალისწინებული თანხების ამოწურვისთანავე, ხოლო დამთავრება–2015 წლის პირველ მარტს. სამუშაოების შესრულება ხორციელდება მხარეთა შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

სამუშაოების შესრულების ეტაპობრივი ვადები განისაზღვრება ყოველთვე შესრულებული სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე.

ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის პირობები მოცემულია ხელშეკრულების პროექტში.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

3.2. სამუშაოთა შემადგენლობა:

<u>მიმდინარე შეკეთების სამუშაოების სპეციფიკაცია (ზონა №16)</u>	
<u>მიწის ვაკისის მოვლა-შენახვა</u>	
1	**<u>გვერდულების მოშანდაკება</u>**
	ამ პუნქტში შედის გვერდულების მოშანდაკება მექანიზირებული წესით განზ. m^2
2	**<u>გვერდულებზე მასალის დამატება და დატკეპნა</u>**
	ამ პუნქტში შედის გვერდულეზე ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის დამატება, მისი დაპროფილება და დატკეპნა განზ. m^3
3	**<u>ბალახის გათიბვა</u>**
	ამ პუნქტში შედის გვერდულებსა და კიუვეტებში ბალახის გათიბვა განზ. m^2
4	**<u>კიუვეტების გაწმენდა გრეიდერით</u>**
	ამ პუნქტში შედის გრუნტისგან კიუვეტების გაწმენდა გრეიდერით ადგილზე გადაყრით განზ. გრძ.მ
5	**<u>კიუვეტების გაწმენდა გრეიდერით, დატვირთვა და გატანა ნაყარში</u>**
	ამ პუნქტში შედის გრუნტისაგან კიუვეტების გაწმენდა და შეგროვება გრეიდერით, დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე და გატანა ნაყარში განზ. m^3
6	**<u>კიუვეტების გაწმენდა ხელით ადგილზე გადაყრით</u>**
	ამ პუნქტში შედის კიუვეტების გაწმენდა გრუნტისაგან ხელით, ადგილზე გადაყრით განზომილება m^3.
7	**<u>კიუვეტების გაწმენდა ექსკავატორით, დატვირთვა და გატანა ნაყარში</u>**
	ამ პუნქტში შედის კიუვეტების გაწმენდა ექსკავატორით, დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე და გატანა ნაყარში განზ. m^3
8	**<u>მილების გაწმენდა ხელით ადგილზე გადაყრით</u>**

	ამ პუნქტში შედის სადრენაჟო მილების გაწმენდა დანალექებისაგან, მილების მიმღები ჭების ჩათვლით, ადგილზე გადაყრით, განზომილება $მ^3$.
9	**ჩამონაშალის გაწმენდა ადგილზე გადაყრით**
	ამ პუნქტში შედის მიწის ვაკისის გაწმენდა მექანიზირებული წესით ფერდობიდან ჩამონაშალი მიწისა და ქვებისაგან, ადგილზე გადაყრით. განზომილება $მ^3$
10	**ჩამონაშალის გაწმენდა ნაყარში გატანით**
	ამ პუნქტში შედის მიწის ვაკისის გაწმენდა მექანიზირებული წესით ფერდობიდან ჩამონაშალი მიწისა და ქვებისაგან, მათი დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე და გატანა ნაყარში განზ. $მ^3$
11	**გვერდულებზე და გზის სავალ ნაწილზე გამონატანების მოგროვება გრეიდერით, დატვირთვა და გატანა ნაყარში**
	ამ პუნქტში შედის გვერდულებზე და გზის სავალ ნაწილზე გამონატანი გრუნტის მოგროვება გრეიდერით, დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე და გატანა ნაყარში განზ. $მ^3$
12	**გაბიონების მოწყობა**
	ამ პუნქტში შედის მიწის სამუშაოები, გაბიონის ბადიის მოწყობა და ქვით შევსება, განზ $მ^3$
	<u>ხელოვნური ნაგებობები</u>
13	**ლითონის მილის მოწყობა დ<1მ**
	ამ პუნქტში შედის ქვაბულის დამუშავება ექსკავატორით, ქვესაგები ფენის მოწყობა ხრეშოვანი მასალით, ჰიდროიზოლაციის მოწყობა, მილის მონტაჟი, გრუნტის უკუჩაყრა. განზ გრძ.მ
14	**კედლის და სხვა ელემენტების მოწყობა მონოლითური ბეტონით**
	ამ პუნქტში შედის ქვაბულის დამუშავება, კედლის ან სხვა ელემენტების მოწყობა ცემენტობეტონის ნარევით, იზოლაცია და გრუნტის უკუჩაყრა. განზ $მ^3$
15	**ხიდის მოაჯირების აღდგენა**
	ამ პუნქტში შედის ხიდზე ლითონის ახალი მოაჯირების მონტაჟი. განზომილება ტ.
	<u>სავალი ნაწილის მოვლა-შენახვა</u>
16	**ორმოების შეკეთება ცხელი ასფალტობეტონით სისქით 4 სმ**
	ამ პუნქტში შედის დაზიანებულ ადგილებში ორმოების ამოჭრა, ბიტუმის წაცხება, ა/ბეტონის ნარევის დაგება და დატკეპნა განზ. $მ^2$
17	**ორმოების შეკეთება ცხელი ასფალტობეტონით სისქით 5 სმ**
	ამ პუნქტში შედის დაზიანებულ ადგილებში ორმოების ამოჭრა, ბიტუმის წაცხება, ა/ბეტონის ნარევის დაგება და დატკეპნა განზ. $მ^2$
18	**გაცვეთილი და დაბზარული ადგილების შესწორება ცხელი ა/ბეტონის ნარევით სისქით 3სმ**
	ამ პუნქტში შედის ა/ბეტონის საფარის ზედა ფენის გაცვეთილი და დაზიანებული ადგილების აღდგენა ცხელი ა/ბეტონით. განზ. $მ^2$
19	**გზის დეფორმირებული და დაზიანებული ადგილების შევსება ცხელი ასფალტობეტონის ნარევით**
	ამ პუნქტში შედის გზის დეფორმირებული და დაზიანებული ადგილების შევსება ცხელი ა./ბეტონის ნარევით. განზ. ტონა
20	**სავალი ნაწილის შეკეთება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით**
	ამ პუნქტში შედის სავალი ნაწილის შეკეთება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით, დატკეპნით, განზ $მ^3$
21	**სავალი ნაწილის შეკეთება ადგილობრივი ბუნებრივი ღორღოვანი გრუნტით**
	ამ პუნქტში შედის სავალი ნაწილის შეკეთება ადგილობრივი ბუნებრივი ღორღოვანი გრუნტით (დატკეპნით)განზ $მ^3$

22	**ჩაწყვეტილი ადგილების შევსება გრუნტით**
	ამ პუნქტში შედის ჩაწყვეტილი ადგილების შევსება გრუნტით(დატკეპნით) განზ. $მ^3$
23	**ბზარების შევსება ბიტუმით ან ემულსიით**
	ამ პუნქტში შედის ბზარების გაფართოვება და ბიტუმით, ემულსიით ან ბიტუმის მასტიკით შევსება განზ. გრძ.მ
24	**საფუძვლის მოწყობა ფრაქციული ღორღით**
	ამ პუნქტში შედის დაზიანებული საფუძვლის ამოჭრა და ფრაქციული ღორღით ახალი საფუძვლის მოწყობა. განზ. $მ^3$
25	**ორმოების შეკეთება ცივი ასფალტობეტონით**
	ამ პუნქტში შედის ზამთრის პერიოდში გზის სავალი ნაწილის ორმოული შეკეთება ცივი ა./ბეტონის ნარევით განზ. ტონა
26	**ორმოების შეკეთება გაჟღენთვით ემულსიის გამოყენებით, მექანიზირებული წესით**
	ამ პუნქტში შედის ორმოების შეკეთება კომბინირებული ან სხვა სახის მანქანის მეშვეობით ღორღის მოყრითა და ბიტუმის ემულსიის მოსხმით განზ. $მ^3$
27	**სავალი ნაწილის და ხელოვნური ნაგებობების ცალკეული დაზიანებული ელემენტების შეკეთება ცემენტობეტონით**
	ამ პუნქტში შედის სავალი ნაწილისა და ხელოვნური ნაგებობების ცალკეული დაზიანებული ელემენტების შეკეთება–აღდგენა ცემენტობეტონის ნარევით განზ $მ^3$
28	**გზის სავალი ნაწილის გაცვეთილი მონაკვეთების ზედაპირული დამუშავება**
	ამ პუნქტში შედის გზის ცალკეულ მონაკვეთებზე სავალი ნაწილის ერთმაგი ზედაპირული დამუშავება ბიტუმის ემულსიის ან ბიტუმის გამოყენებით. განზ $მ^2$
29	**საავტომობილო გზების ყოველდღიური შემოვლა**
	ამ პუნქტში შედის გზების ყოველდღიური შემოვლა, გზის სავალი ნაწილის და განთვისების ზოლის გასუფთავება ნაგვისა და სხვადასხვა საგნებისაგან. განზ კაცი/თვე
	<u>**გზებზე მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების მოვლა-შენახვა**</u>
30	**ავტოტრანსპორტის მოძრაობის ინტესივობის გათვლა**
	ამ პუნქტში შედის ავტოტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობის ორდღიანი (48სთ.) სადღეღამისო გათვლა. განზომილება – რაოდენობა
31	**საგზაო ნიშნების, ხიდის მოაჯირების და ლითონის თვალამრიდი ძელების შეღებვა**
	ამ პუნქტში შედის საგზაო ნიშნების, დგარების, ხიდის მოაჯირების და ლითონის თვალამრიდი ძელების გაწმენდა და შეღებვა საღებავით განზ. $მ^2$
32	**მრგვალი საორიენტაციო ბოძკინტების (შუქურა) დაყენება**
	ამ პუნქტში შედის საორიენტაციო ბოძკინტების დაყენება არსებული ნორმების შესაბამისად განზ. ცალი
33	**თვალამრიდი ძელების, პარაპეტების და გზის სხვა ელემენტების გარეცხვა**
	ამ პუნქტში შედის თვალამრიდი ძელების, პარაპეტების და გზის სხვა ელემენტების გარეცხვა, განზომილება $მ^2$.
34	**საგზაო დაფების გარეცხვა**
	ამ პუნქტში შედის საგზაო დაფების გარეცხვა ამწე-კალათის გამოყენებით, განზომილება $მ^2$
35	**დაზიანებული თვალამრიდი ძელების შეკეთება და აღდგენა**
	ამ პუნქტში შედის დეფორმირებული ძელების მოხსნა, გასწორება-შეკეთება და დაყენება, განზომილება გრძ./მ

36	**ბეტონის თვალამრიდი ძელების, პარაპეტების და ბეტონის სხვა ნაკეთობების შეღებვა**
	ამ პუნქტში შედის ბეტონის თვალამრიდი ძელების, პარაპეტების და ბეტონის სხვა ნაკეთობების გაწმენდა და შეღებვა წყალემულსიის საღებავით. განზომილება $მ^2$
37	**სტანდარტული ზომის ახალი საგზაო ნიშნების დაყენება**
	ამ პუნქტში შედის სტანდარტული ზომის ახალი საგზაო ნიშნების დაყენება (ახალი დგარებით). განზომილება ცალი.
38	**არასტანდარტული ზომის ახალი საგზაო ნიშნების დაყენება**
	ამ პუნქტში შედის არასტანდარტული ზომის ახალი საგზაო ნიშნების დაყენება (ახალი დგარებით). განზომილება $მ^2$.
39	**ახალი საგზაო დაფების დაყენება**
	ამ პუნქტში შედის ახალი საგზაო დაფების დაყენება არსებულ დგარებზე, განზომილება $მ^2$
40	**კილომეტრის მაჩვენებელი საგზაო ნიშნების დაყენება**
	ამ პუნქტში შედის კილომეტრის მაჩვენებელი საგზაო ნიშნების დაყენება ახალ დგარზე განზომილება ცალი.
41	**ახალი რკინა-ბეტონის პარაპეტის დაყენება**
	ამ პუნქტში შედის ახალი რკინა-ბეტონის პარაპეტის შეღებვა, ტრანსპორტირება და მონტაჟი; განზომილება $მ^3$
42	**სიჩქარის შემზღუდავი ხელოვნური ბორცვების მოწყობა**
	ამ პუნქტში შედის ქარხნული წესით დამზადებული სიჩქარის შემზღუდავი ხელოვნური ბორცვების მოწყობა. განზომილება. გრძ.მ
43	**ახალი ლითონის თვალამრიდი ძელების დაყენება**
	ამ პუნქტში შედის ახალი ლითონის თვალამრიდი ძელების ტრანსპორტირება და მონტაჟი. განზ გრძ. მ
44	**საორიენტაციო ბოძკინტებზე შუქამრეკლი აფსკის გაკვრა**
	ამ პუნქტში შედის საორიენტაციო ბოძკინტებზე შუქამრეკლი აფსკის გაკვრა. განზ ც
45	**თვალამრიდ ძელებზე და ბეტონის პარაპეტებზე კრონშტეინების (შუქამრეკლი აფსკით) დამაგრება**
	ამ პუნქტში შედის ბეტონის პარაპეტებზე და თვალამრიდ ძელებზე კრონშტეინების (შუქამრეკლი აფსკით) დამაგრება. განზ ც
46	**ჰორიზონტალური მონიშვნა საღებავით**
	ამ პუნქტში შედის სავალი ნაწილის მონიშვნა საღებავით (შუქამრეკლი ბურთულების დამატებით) განზომილება $მ^2$
	<u>გზის კუთვნილების კეთილმოწყობა</u>
47	**ბლოკის წყობით კედლის მოწყობა**
	ამ პუნქტში შედის კედლის მოწყობა სამშენებლო ბლოკით, ცემენტობეტონის ხსნარით განზომილება $მ^3$
48	**სახურავის გამოცვლა მოთუთიებული თუნუქით (ხის მოლარტყვაზე)**
	ამ პუნქტში შედის მოთუთიებული თუნუქის სახურავის და ხის მოლარტყვის გამოცვლა. განზ. $მ^2$
49	**კედლების შელესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით**
	ამ პუნქტში შედის კედლების შელესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით, განზომილება $მ^2$
50	**კედლების შეღებვა საღებავით**
	ამ პუნქტში შედის კედლების შეღებვა წყალემულსიის საღებავით,

	განზომილება $მ^2$
	<u>არამოცულობითი სამუშაოები</u>
51	**ამწე მანქანის მუშაობა**
	ამ პუნქტში შედის ამწე მანქანის მუშაობა. განზომილება სთ.
52	**გრეიდერის მუშაობა**
	ამ პუნქტში შედის გრეიდერის მუშაობა. განზომილება სთ
53	**კავშირგაბმულობის უზრუნველყოფა**
	ამ პუნქტში შედის კონტრაქტორის მიერ დეპარტამენტის საინფორმაციო განყოფილებასთან შესაბამისი კავშირის უზრუნველყოფა. განზ. თვე.
54	**სეზონური (არაზამთრის) მორიგეობა**
	ამ პუნქტში შედის საყრდენ პუნქტებზე მექანიზატორების მორიგეობის (არაზამთრის პერიოდში) ხელფასი, რაც საშუალებას იძლევა ღამის ნებისმიერ დროს მოხდეს მათი მობილიზაცია და მექანიზმების გაყვანა გზების იმ მონაკვეთებში, რომლებზეც საჭიროა სასწრაფო გადაუდებელი სამუშაოების ჩატარება ექსტრემალურ სიტუაციებში ავტოტრანსპორტის შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველსაყოფად. განზომილება კაცი/ცვლა (ცვლაში იგულისხმება 12 საათი)
	<u>გზისპირა ნარგავების მოვლა-შენახვა</u>
55	**ხმელი ხეების მოჭრა**
	ამ პუნქტში შედის ხმელ ხეებზე ტოტების და ტანის მოჭრა, ამოძირკვა და ტრანსპორტირება, განზ. ცალი
56	**ხის ტოტების გადაბელვა**
	ამ პუნქტში შედის ხის ტოტების გადაბელვა, განზ. 1 ხე
57	**ეკალ-ბარდების და ბუჩქების გაჩეხვა**
	ამ პუნქტში შედის გზისპირა ზოლში ეკალ-ბარდების და ბუჩქების გაჩეხვა, განზ. $მ^2$
	<u>ზამთრის შენახვა</u>
58	**ზამთრის მორიგეობა**
	ამ პუნქტში შედის საყრდენი პუნქტის მექანიზატორების, მუშების და სხვა პერსონალის მორიგეობის ხელფასი, რაც საშუალებას იძლევა დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოხდეს მათი მობილიზაცია და გაყვანა გზების იმ მონაკვეთებში, რომლებიც თოვლცვენისა და ლიპყინულის გამო მოითხოვენ დაუყოვნებლივ გაწმენდას. განზომილება კაცი/ცვლა (ცვლაში იგულისხმება 12 საათი)
59	**20%-იანი ქვიშა-მარილის ნარევის (ფრაქცია 0-5) მოყრა სავალ ნაწილზე ავტომანქანით(ხელით)**
	ამ პუნქტში შედის 20%-იანი ქვიშა-მარილის (ფრაქცია 0-5) ნარევის მომზადება ტრანსპორტირება და გზის სავალ ნაწილზე მოყრა ხელით, განზომილება ტონა.
60	**20%-იანი ქვიშა-მარილის ნარევის (ფრაქცია 0-5) მოყრა სავალ ნაწილზე მექანიზირებული წესით**
	ამ პუნქტში შედის 20%-იანი ქვიშა-მარილის (ფრაქცია 0-5) ნარევის მომზადება, ტრანსპორტირება და გზის სავალ ნაწილზე მოყრა მექანიზირებული წესით, განზ. ტონა.
61	**ქვიშის (ფრაქცია 0-5) მოყრა სავალ ნაწილზე ავტომანქანით (ხელით)**
	ამ პუნქტში შედის ქვიშის (ფრაქცია 0-5) ტრანსპორტირება და გზის სავალ ნაწილზე მოყრა ხელით, განზომილება ტონა.
62	**თოვლის წმენდა გრეიდერით**
	ამ პუნქტში შედის თოვლის წმენდა გრეიდერით; განზომილება სთ.
63	**თოვლის წმენდა ბულდოზერით**
	ამ პუნქტში შედის თოვლის წმენდა ბულდოზერით; განზომილება სთ.
64	**თოვლის წმენდა დიდი სიმძლავრის ბულდოზერით**

	ამ პუნქტში შედის თოვლის წმენდა დიდი სიმძლავრის ბულდოზერით; განზომილება სთ.
65	**თოვლის წმენდა როტორით**
	ამ პუნქტში შედის თოვლის წმენდა როტორულ-თოვლმწმენდით; განზომილება სთ.
66	**თოვლის წმენდა კომბინირებული საგზაო მანქანით**
	ამ პუნქტში შედის თოვლის წმენდა კომბინირებული საგზაო მანქანით. განზომილება საათი.

შენიშვნა:

1. პუნქტი 59-66 სამუშაოს ღირებულებაში არ შედის პერსონალის ხელფასი. მისი ანაზღაურება ხდება "ზამთრის მორიგეობის" პუნქტიდან ხელფასისათვის განსაზღვრული თანხებით.

2. ზამთრის პერიოდში კონტრაქტორის მიერ უზრუნველყოფილი უნდა იქნას საყრდენი პუნქტების მოწყობა თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზაზე 3 პუნქტი, ბორჯომი-ბაკურიანი-ახალქალაქის და ხაშური-ახალციხე-ვალეს(თურქეთის საზღვარი) საავტომობილო გზაზე 3 პუნქტი.

ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა არ დაიშვება.

3.3. სამუშაო ადგილის მომზადება და გარემოს დაცვა

შემსრულებელი პასუხისმგებელია სამუშაოსათვის გამოყოფილი ადგილის გამოყენებაზე და სამუშაოების დასრულების შემდეგ გარემოს საჭირო და სათანადო აღდგენაზე;

შემსრულებელი პასუხისმგებელია ავტოტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის პირობებში შეასრულოს სამუშაოები პერსონალის უსაფრთხო პირობების და ეკოლოგიურად მისაღები გზით და ვალდებულია დაიცვას შემეგი პირობები:

- უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეების და მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა.

- მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაოებით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა.

- სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი ვალდებულია თავისი ძალებით და სახსრებით დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი მანქანა-მექანიზმებისაგან, მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა. შ.

- სამუშაო ადგილის ფარგლებში უზრუნველყოს გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმუმადე დაყვანა.

- სამუშაოების შესრულების პროცესში საავტომობილო გზაზე უზრუნველყოს სამუშაო ადგილის შემოფარგვლა და დამცავი გამაფრთხილებელი თვალსაჩინოების და შუქნიშნების დაყენება.

- სამუშაოების შესრულების პროცესში საავტომობილო გზაზე უზრუნველყოს სამუშაო ადგილის შემოფარგვლა და დამცავი გამაფრთხილებელი თვალსაჩინოების და შუქნიშნების დაყენება.

3.4. სამუშაოთა შესრულების წესი

სამუშაოების შესრულების წესი განისაზღვრება ამ თავით და ხელშეკრულების პროექტის პირობებით.

შესრულებული სამუშაოთა მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად მოქმედი სამშენებლო ნორმების შესაბამისად, შემსრულებელი ვალდებულია, მასალების გამოცდისათვის საჭირო სპეციალიზირებულ ლაბორატორიაში, ჩაატაროს გამოსაყენებელი მასალების (ასფალტბეტონის, ცემენტბეტონის, ღორღის, ქვიშის, მინერალური ფხვნილის, ბიტუმის, გრუნტების და სხვა) ხარისხის ყველა საკონტროლო ლაბორატორიული გამოცდები და შემოწმებები მათი გამოყენების ვარგისიანობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე სამუშაოების შესრულების დროს შემსრულებელი ვალდებულია წარმოადგინოს გამოყენებული მასალების (ასფალტბეტონის, ცემენტბეტონის, ღორღის, ქვიშის, მინერალური ფხვნილის, ბიტუმის, გრუნტების და სხვა) ლაბორატორიული დასკვნები და რეცეპტები და მათი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული - საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობისა და მონიტორინგის სამმართველომ არ უნდა მიიღოს სამუშაოები, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს მიმწოდებლის მიმართ პასუხისმგებლობის ღონისძიებები.

ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება იმ სამუშაოების ღირებულება, რომელზეც არსებობს ხარისხის სერთიფიკატი ან პასპორტი

მასალები უნდა ინახებოდეს დახურული წესით, გარდა იმ მასალებისა, რომელიც ნორმების მიხედვით ინახება ღია ცის ქვეშ.

მიმწოდებლების მასალებს და კონსტრუქციებს უნდა ჰქონდეს პასპორტი ან სერთიფიკატი. მათი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და სამშენებლო ნორმებს.

მიმწოდებელი ვალდებულია ისარგებლოს მარტო იმ ასფალტობეტონის ქარხნით, რომლის მიერ გამოშვებულ პროდუქციას ექნება ლაბორატორიული დასკვნა, ამ ქარხნის პროდუქციის გამოყენების ვარგისიანობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში სამუშაოები არ იქნება მიღებული.

3.5. ნორმატიული დოკუმენტები

მუშაობის პროცესში შემსრულებელი ვალდებულია იხელმძღვანელოს კანონით „საავტომობილო გზების შესახებ“, საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის შესახებ ინსტრუქციის, საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესების, აგრეთვე ტექნიკური პირობების და მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტებისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნების თანახმად.

3.6. სამუშაოთა წარმოების ჟურნალი

სახელშეკრულებო ობიექტზე შემსრულებელმა უნდა აწარმოოს სამუშაოთა წარმოების ჟუნრნალი, სადაც ყოველდღიურად ჩაწერს დღიური შესრულებული სამუშაოების მოცულობას, შემსრულებელი პერსონალის მონაცემებს, გამოყენებული მექანიზმების და მოწყობილობების ჩამონათვალს, რომელიც მონაწილეობდა სამუშაოს შესრულებაში, ხარისხის დაცვის პროცედურებს და სხვა.

ამ ჟურნალში შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული - საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობისა და აუდიტის სამმართველო სისტემატიურად აღნიშნავს თავის შენიშვნებს, დაკვირვებებს და რეკომენდაციებს სამუშაოს წარმოების შესახებ.

ჟურნალში ჩაიწერება განსაკუთრებული დავალებები, აღმოჩენილი დეფექტები და მათი აღმოფხვრის ვადები.

მიმწოდებელმა უნდა აწარმოოს ყველა საშემსრულებლო ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც განსაზღვრულია მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით ობიექტის მოვლა-შენახვის სპეციფიკის გათვალისწინებით.

3.7. სამუშაოთა მიღება-ჩაბარების წესი

დასრულებული სამუშაოების მიღება განხორციელდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 10 იანვრის №1-1/23 ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად. სამუშაოთა მიღება განხორციელდება ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიხედვით, დამტკიცებული ფორმების შესაბამისად.

შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული - საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობისა და მონიტორინგის სამმართველო ყოველ თვეს შესრულებული სამუშაოების მიღებისას ვალდებულია იხელმძღვანელოს ყოვეთვიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობებით და არ მიიღოს სამუშაოები, თუ მიმწოდებლის მიერ გამოყენებულ მასალებზე არ იქნება შესაბამისი ლაბორატორიული დასკვნები მათი გამოყენების ვარგისიანობაზე.

ყოველი თვის ბოლოს მიმწოდებელი აბარებს სამუშაოებს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულს - საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობისა და მონიტორინგის სამმართველოს. სამუშაოების მიღება-ჩაბარება მოხდება ყოველთვიურად, შემდეგი დოკუმენტების წარდგენის შემდეგ: სამუშაოთა მოცულობებისა და ღირებულების აქტი (უწყისი) და ანგარიშ-ფატურა.

ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოების შემოწმება განხორციელდება სამუშაოების შესრულების ადგილზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მასალების გამოცდა მოხდება ამ მასალების გამოცდისათვის საჭირო სპეციალური ლაბორატორიების ადგილმდებარეობის მიხედვით.

3.8. მიმდინარე შეკეთების სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა- მექანიზმების ნუსხა

ზონა №16

აუცილებელი მანქანა-დანადგარების ნუსხა

№	მანქანა-დანადგარების დასახელება	რაოდენობა
1	ბულდოზერი პნევმოთვლებზე (სიმძლავრით არანაკლები 80 ცხ. ძ.)	3
2	ბულდოზერი მუხლუხებიანი (სიმძლავრით არანაკლები 80 ცხ. ძ.)	1
3	ავტოგრეიდერი (სიმძლავრით არანაკლები 70 ცხ. ძ.)	6
4	ავტოგუდრონატორი ან ბიტუმის გასაცხელებელი მისაბმელი ქვაბი	2

5	სატკეპნი (წონით არანაკლები 6 ტონა)	4
6	ავტოამწე (ტვირთამწეობით არანაკლები 5 ტონა)	1
7	ექსკავატორი პნევმოთვლებზე (ჩამჩის მოცულობით არანაკლები 0.25მ^3)	2
8	დამტვირთველი ჩამჩის მოცულობით არანაკლები 1მ^3	2
9	თოვლის როტორულ-შნეკური სახვეტი	2
10	კომბინირებული საგზაო მანქანა	5
11	ა/ბეტონის ქარხანა (წარმადობით არანაკლები 20 ტონა/საათი)	1
12	კომპრესორი	2
13	ა/ბეტონის საფრეზი დანადგარი	1
14	სატვირთო ავტომანქანა	8
15	მაღალი გამავლობის ავტომანქანა	1

3.9. №6 ზონაში შემავალი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები

№	გზის დასახელება	მონაკვეთი	სიგრძე	შენიშვნა
1	2	3	4	5
	ზონა №16			
ს-1	თბილისი-სენაკი-ლესელიძე (რუსეთის ფედერაციის საზღვარი)	კმ 143.4-173	29.6	
ს-8	ხაშური-ახალციხე-ვალე (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი)	კმ 1-50	50.0	
შ-20	ბორჯომი-ბაკურიანი-ახალქალაქი	კმ 1-54	54.0	
შ-55	ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთი	კმ 41-51	11.0	
შ-56	რიკოთის გვირაბის შემოსავლელი გზა	კმ 1-4.0	4	
შ-71	დაბა ბაკურიანის წრიული გზა	კმ 1-3	3	
შ-75	დაბა ბაკურიანის დიდველის სათხილამურო კომპლექსთან მისასვლელი გზა	კმ 1-2.6	2.6	
შ-127	ბორჯომი-ბაღი-ტბა-ცემი	კმ 1-13	13	
შ-128	წაღვერი-კიმოთესუბანი-ტაძარი	კმ 1-4	4	
	სულ		**171.2**	

4. გასაწევი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა და ფასები

4.1. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს გასაწევი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა დანართი №4-ის მიხედვით.

4.2. გაუთვალისწინებელი თანხების გამოყენება მოხდება მხოლოდ დამკვეთის (შემსყიდველის) ნებართვით, მისივე ინიციატივით ან მიმწოდებლის მიერ დასაბუთებული და არგუმენტირებული წინადადების განხილვისა და შეთანხმების საფუძველზე დამკვეთის (შემსყიდველის) სათანადო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

4.3. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

5. ხელშეკრულების პროექტი

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ე. ტ. № "----" "------"

ქ. თბილისი **"----"."-------".2014წ.**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მისი თავმჯდომარის მოადგილის მოადგილის იოსებ ქადაგიშვილის სახით, შემდგომში – შემსყიდველი, ერთის მხრივ და **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს "----------", მისი დირექტორის ----------** სახით, შემდგომში – მიმწოდებელი, მეორეს მხრივ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ" ქვეპუნქტისა და შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისიტემით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (SPA----------) საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

<u>მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი</u>

1.1. ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ, ზონა №16 ზონაში შემავალი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების (----------) მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვა) სამუშაოების განხორციელება – შემდგომში სამუშაო. კლასიფიკატორის (CPV) კოდი – 45233140.

<u>მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი</u>

2.1. სამუშაოს მთლიანი ღირებულება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, შეადგენს **---------- (----------)** ლარი.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის

გათვალისწინებით შეადგენს ---------- (----------) **ლარს. მათ შორის 2014 წელს – ---------- ლარი; 2015 წელს – --------- ლარი.**

2.3 მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ლარებში (თუ მიმწოდებელი საქართველოს რეზიდენტია), ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.4 მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია ყოველ თვეში წარმოადგინოს, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მთლიანი და ჯამური (დამატებული ღირებულების გათვალისწინებით) ღირებულება საანგარიშო პერიოდისა და ნაზარდი ჯამის ჩვენებით.

2.5 ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების და დადასტურებული მოცულობების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 28 დღის განმავლობაში.

2.6 მიმწოდებლის მიერ წერილობითი თხოვნის საფუძველზე, შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს შუალედური გადახდები მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებზე, არსებული წესის შესაბამისად წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

2.7 წერილობითი თხოვნის საფუძველზე, მიმწოდებელს შეუძლია შემსყიდველს წარუდგინოს წინასწარი წერილობითი თხოვნა ავანსის გაცემასთან დაკავშირებით.

2.8 მიუხედავად შესაბამისი წერილობითი თხოვნისა, შემსყიდველი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს თხოვნა ავანსის გაცემის თაობაზე.

2.9 შემსყიდველის მიერ ავანსის გაცემასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს გასაცემი ავანსის ოდენობის უპირობო საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში უნდა იყოს გასაცემი ავანსის დაქვითვამდე.

2.10 მიმწოდებელზე გასაცემი საავანსო თანხა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 20 პროცენტის ოდენობით. მრავალწლიანი ტენდერის შემთხვევაში საავანსო თანხა გაიცემა იმავე პროცენტული ოდენობით, მოთხოვნის მომენტისათვის არსებული წლის შესაბამისი ღირებულებიდან.

2.11 აღნიშნული თანხა მიმწოდებლის მიერ გამოყენებული იქნება მხოლოდ ამ კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარების მიზნით. შემსყიდველის მიერ გაცემული ავანსის დაკავება მოხდება ქვემოთ მოყვანილი წესის თანახმად:

$$Z = \frac{A*(X\%-Y\%)}{}$$

70 - 20

Z = არის გამოსაქვითი თანხა საანგარიშო პერიოდში;

A = წარმოადგენს გადარიცხული ავანსის თანხას;

X = წარმოადგენს საანგარიშო პერიოდისთვის შესრულებული სამუშაოთა შეფარდებას საწყის საკონტრაქტო ღირებულებასთან, გამოხატულს პროცენტებში. ეს მონაცემი არ აღემატება 70%-ს.

Y = არის (X) წინა პერიოდისათვის.

2.12 შემსყიდველი უფლებამოსილია აამოქმედოს ავანსის უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების მე-2 მუხლის 2.11 პუნქტის დარღვევისა და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, თუკი შეწყვეტის მომენტისათვის მიმწოდებელს არა აქვს დაქვითული გაცემული ავანსი ან მისი ნაწილი.

2.13 ავანსის გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ უპირობო საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდგომ.

2.14 ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ შესრულებული სამუშაოების, მათ შორის შემსყიდველთან შეთანხმებული შესრულებული გაუთვალისწინებელი სამუშაოების ღირებულება, რომლის მოცულობასა და ხარისხზე არსებობს დეპარტამენტის გზების ტექნიკური ზედამხედველობისა და მონიტორინგის სამმართველოს მიერ დადასტურებული აქტი.

2.15 გაუთვალისწინებელი სამუშაოების თანხების ხარჯვა მოხდება აუცილებლობიდან გამომდინარე შემსყიდველთან შეთანხმებით.

2.16 იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეული ფასების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია სამუშაოთა აუთვისებელ მოცულობების შესრულებაზე და მის გადახდაზე.

მუხლი 3. სამუშაოს შესაბამისობა

3.1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული შესასყიდი სამუშაოები უნდა შესრულდეს კანონის „საავტომობილო გზების შესახებ“, საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის შესახებ ინსტრუქციის, მოქმედი ყველა საჭირო სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესების, ტექნიკური პირობების, მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტებისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად.

3.2. 3.1. პუნქტში აღნიშნული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

<u>მუხლი 4. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი</u>

4.1. სამუშაოს მიღება ხორციელდება შესაბამისად ამ ხელშეკრულების 1.1. პუნქტში აღნიშნულ ადგილზე.

4.2. ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოების მიღება განხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის არაუგვიანეს 31 რიცხვისა.

4.3. მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოები ყოველთვიურად მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების შემდეგ.

4.4. ამ ხელშეკრულების ძალით შესრულებული სამუშაოების შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას ახორციელებს შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული – საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობისა და მონიტორინგის სამმართველო, რომელიც ადგილზე ამოწმებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ობიექტზე ყოველ თვეს შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას და ხარისხს.

4.5. დასრულებული სამუშაოების მიღება განხორციელდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 10 იანვრის №1-1/23 ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

<u>მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი</u>

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) სამუშაოს შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები განახორციელოს „--------„. „--------„.2014წ.- „-----„.“----------„.2015წ. პერიოდის განმავლობაში;

გ) ტენდერით გათვალისწინებული საავტომობილო გზებზე მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებისას მონაწილეობა მიიღოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურების მიერ შესაბამისი აქტების გაფორმების პროცედურაში, ასევე ამ საავტომობილო გზებზე, გზის კუთვნილების ან ხელოვნური ნაგებობების ცალკეული ელემენტების დაზიანების ან ქურდობის ფაქტების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველ ორგანიზაციას, აგრეთვე, საპატრულო ან ადგილობრივ პოლიციას საკითხის შემდგომი რეაგირებისათვის;

დ) უზრუნველყოს ტენდერით გათვალისწინებულ საავტომობილო გზებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის რეჟიმის შეცვლის შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ გადმოცემა შემსყიდველის საინფორმაციო სამსახურში. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ზამთრის პერიოდში შესაბამისი ინფორმაციის დროულად გადმოცემას;

ე) ზამთრის პერიოდში აუცილებლობის შემთხვევაში დაუყონებლივ უზრუნველყოს თოვლწმენდი და ლიპყინულის საწინააღმდეგო სამუშაოების ჩატარება, იქონიოს გზები მუდმივად განვლად მდგომარეობაში, გამონაკლისს წარმოადგენს დაუძლეველი გარემოებების გამო შექმნილი სიტუაცია.

ვ) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში იქონიოს მუდმივი კავშირი შემსყიდველი ორგანიზაციის საინფორმაციო სამსახურთან;

ზ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

თ) ანგარიშსწორებისას ყოველთვიურად მიუთითოს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მთლიანი და ჯამური ღირებულება;

ი) სამუშაოების შესრულებაში მონაწილე საინჟინრო-ტექნიკური პერსონალისა და მუშა-მოსამსახურეების შემადგენლობის არანაკლებ 70 პროცენტი დააკომპლექტოს საქართველოს მოქალაქეებით;

კ) შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

ლ) მიმწოდებელი ყოველი თვის ბოლოს წარუდგენს შემსყიდველის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს – საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობისა და მონიტორინგის სამმართველოს შესრულებულ სამუშაოებს, შემსყიდველ ორგანიზაციაში სამუშაოების მიღების არსებული წესისა და დამტკიცებული ფორმების თანახმად განსაზღვრულ ვადებში;

მ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა შესრულებისას იხელმძღვანელოს კანონის „საავტომობილო გზების შესახებ“, საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის შესახებ ინსტრუქციის, მოქმედი ყველა საჭირო სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესების, ტექნიკური პირობების, მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტებისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) აწარმოოს ინსპექტირება საამისოდ შერჩეულ პირთან ერთად სამუშაოს მიმდინარეობაზე, თანახმად, კანონისა „საავტომობილო გზების შესახებ“, საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის შესახებ ინსტრუქციის, მოქმედი ყველა საჭირო სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესების, ტექნიკური პირობების, მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოები;

ბ) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად.

5.3 სამუშაოთა წლიური თანხობრივი მოცულობები განისაზღვრება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ხელშეკრულების გაფორმების დროს. წლიური მოცულობებში ცვლილება დასაშვებია გზებზე შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე. აღნიშნული ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს საჭიროებიდან გამომდინარე ან ყოველი მომდევნო ფინანსური წლის დასაწყისში, წინა წლის დეკემბერში ფაქტიურად შესრულებული ნაზარდი მოცულობების მიხედვით, რაზედაც გაფორმდება დანართი შეთანხმება ხელშეკრულების მხარეთა შორის.

5.4 სამუშაოების სპეციფიკური ხასიათიდან და შექმნილი აუცილებლობიდან გამომდინარე, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი იტოვებს უფლებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ფარგლებში, ხარჯთაღრიცხვაში მოცემული ერთი სახეობის სამუშაოს მოცულობა შეცვალოს მეორე სახეობის სამუშაოს მოცულობით, რაც შესაძლებელია განხორციელდეს მხარეთა შორის შეთანხმებულ საორიენტაციო გეგმა-პროგნოზში ასახვით - დანართი შეთანხმების გაფორმების გარეშე.

5.5 ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული გაუთვალისწინებელი სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხა გამოიყენება სამუშაოს შესრულების პროცესში დამატებით ჩასატარებელი ახალი სახეობის სამუშაოების შესასრულებლად და/ან ძირითადი ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების მიზნით, საკონტრაქტო თანხის ამოწურვამდე.

5.6 ყოველი თვის დასაწყისში მიმწოდებელი და შემსყიდველი, მისი სტრუქტურული ერთეულის – საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობისა და მონიტორინგის სამმართველოს მეშვეობით ერთობლივად ადგენენ მომავალ თვეში ხელშეკრულებით განსაზღვრულ ზონაში შემავალ საავტომობილო გზებზე შესასრულებელი სამუშაოების საპროგნოზო მოცულობებს, რომელიც თანხმდება შემსყიდველთან. შეთანხმებული მოცულობები მიმწოდებლისათვის წარმოადგენს ძირითად საფუძველს მოცემულ თვეში სამუშაოების შესრულებისათვის. ფორს-მაჟორული და გადაუდებელი მოვლა-შენახვითი სამუშაოების შესრულებას მიმწოდებელი ახორციელებს დაუყოვნებლივ, შემსყიდველისათვის შესაძლებლად მოკლე დროში შეტყობინებით. გეგმა პროგნოზით გათვალისწინებული სამუშაოს მოცულობები და სახეობები შეიძლება შეიცვალოს საავტომობილო გზებზე წარმოქმნილი სიტუაციების მიხედვით.

5.7 ტენდერით გათვალისწინებულ ზონაში შემავალ საავტომობილო გზებზე მიმწოდებლის მიზეზით მოძრაობის დროებით შეწყვეტისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს და ზიანის წარმოშობის შემთხვევაში მას აანაზღაურებს საკუთარი ხარჯით.

5.8 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველის, მიმწოდებლისა და ხელშეკრულების ინსპექტირების მიზნით შერჩეული სხვა პირების მონაწილეობით ფორმდება შესაბამისი აქტი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი ხელშეკრულების შეუსრულებლობის მიზეზები, რის შემდგომაც შემსყიდველის შეხედულებისამებრ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტირების მექანიზმი. თუ მიმწოდებელის წარმომადგენელი უარს აცხადებს აღნიშნული აქტის შედგენაში მონაწილეობაზე, ხსენებული ფიქსირდება ამავე აქტში და იგი იწვევს იმავე სამართლებრივ შედეგებს, რასაც გამოიწვევდა მიმწოდებლის წარმომადგენლის მონაწილეობით შედგენილი აქტი. სამუშაოების უხარისხოდ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია თავისი სახსრებით უზრუნველყოს წუნის აღმოფხვრა დაუყონებლივ.

5.9 უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების დაფიქსირება ხდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ კომისიური წესით შედგენილ აქტში, რის შემდეგაც მიმწოდებელს არ უნაზღაურდება დეფექტებით შესრულებული სამუშაოთა ღირებულება.

5.10 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან - შესრულებულ სამუშაოთა წარმოდგენილი მოცულობები, შემსყიდველის მიერ გადამოწმების შემთხვევაში არ შეესაბამება რეალობას, შემსყიდველი სათანადო აქტის შედგენის შემდეგ არ უნაზღაურებს მას აღნიშნულ სამუშაოთა ღირებულებას და განიხილავს ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობის საკითხს.

<u>მუხლი 6. ფორს-მაჟორი</u>

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

6.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

მუხლი 7. პასუხისმგებლობა

7.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების დარჩენილი ღირებულების 1% არაუგვიანეს 14 საბანკო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულების პირობების დაღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 8. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

8.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს უპირობო საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3% ოდენობით. გარანტია უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველი მოთხოვნისთანავე მიიღოს შესაბამისი თანხა.

8.2 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, აგრეთვე შემსყიდველის მიერ პირგასამტეხლოს გამოყენების შემთხვევაში.

8.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტიის ფარგლებში, შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანის ოდენობის გათვალისწინებით.

8.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

8.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი იყენებს გარანტიას მისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად მიყენებული ზიანის ფარგლებში.

8.6 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (ფორს-მაჟორული გარემოებები) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი

ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

9.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება დანართი შეთანხმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.

9.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება,თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს)

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე. (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;

ე) ამოიწურა ხელშეკრულების გარანტიით განსაზღვრული თანხა და მიმწოდებელმა არ წარმოადგინა ახალი გარანტია.

მუხლი 10. უფლებების გადაცემა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

10.2 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

მუხლი 11. სუბკონტრაქტორები

11.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში დადებული უველა სუბკონტრაქტის შესახებ, თუ ეს უკვე არ არის მითითებული სატენდერო წინადადებაში.

11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა ქვე-კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

11.3 ქვე-კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესასრულებელი სამუშაოების მთლიანი მოცულობის 40%.

11.4 მუშაობის პროცესში ქვეკონტრაქტორის შეცვლა, ან დამატებითი ქვეკონტრაქტორის აყვანა ასევე უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან. მიმწოდებელი ვალდებულია აცნობოს შემსყიდველს მოცულობის რა ნაწილი გადაეცემა ქვეკონტრაქტორს.

11.5 სამუშაოების ნაწილის ქვეკონტრაქტორზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებიდან.

11.6 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას თავის საკვალიფიკაციო მონაცემებით წარმოდგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს წერილობითი სახით და აღნიშნული ცვლილებების საკითხი შეათანხმოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან.

<u>მუხლი 12. შეტყობინება</u>

12.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

12.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

<u>მუხლი 13. ინსპექტირება</u>

13.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ინსპექტირებას, მათ შორის კონტრაქტით გათვალისწინებული ვადების მიმდინარეობის კონტროლს ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული – საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობისა და აუდიტის სამმართველო.

13.2. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესრულებული სამუშაოს ხარისხის ინსპექტირება.

13.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით

გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

13.4 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე. შესრულებული სამუშაოების ტექნიკური მონიტორინგი და კონტროლი ევალება შემსყიდველი ორგანიზაციის საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობისა და აუდიტის სამმართველოს და საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამმართველოს, ხოლო ფინანსური მონიტორინგი კი – ფინანსების მართვის სამმართველოს.

13.5 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

13.6 სამუშაოების მიმდინარეობაზე შემსყიდველი აწარმოებს კონტროლს თანახმად საქართველოს კანონის "საავტომობილო გზების შესახებ", საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის შესახებ ინსტრუქციის, საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო მოქმედი სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესების, აგრეთვე ტექნიკური პირობების და მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტებისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნების თანახმად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოების მიმდინარეობა და განახორციელოს ამ ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები.

<u>მუხლი 14. სხვა პირობები</u>

14.1 ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

14.2 იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია წინამდებარე ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

14.3 ნებისმიერ ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

14.4 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14.5 მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით; იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.7 მიმწოდებლის საატენდერო წინადადება (საკვალიფიკაციო მონაცემები, ტექნიკური პირობები, სამუშაოების შესრულების გრაფიკი, ხარჯთაღრიცხვა, საგარანტიო უზრუნველყოფა და სხვა დოკუმენტაცია) თან ერთვის და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

<u>15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა</u>

15.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე – 2015 წლის პირველ მარტამდე.

<u>მუხლი16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები</u>

შემსყიდველი:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მის. საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №12, საიდენტიფიკაციო კოდი 211 343 982, სახელმწიფო ხაზინა, ანგარიშის №200122900, კოდი 220101222.

ხელმოწერა _____იოსებ ქადაგიშვილი

ბ.ა.

მიმწოდებელი:

ხელმოწერა _____ ----------

ბ.ა.

6. დამატებითი ინფორმაცია

6.1. სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის ქ. №12, მე-4 სართული. საკონტაქტო პირი: შაქრო ხალვაში ტელ: +995 32 37 05 08 (215).

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

მე, ქვემოთ ხელმომწერი, _____

(სახელი, გვარი, პ/ნ)

_____ *სახელით,*

(პრეტენდენტის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი)

წარვუდგენ რა სატენდერო წინადადებას _____

_____

(შემსყიდველი ორგანიზაცია და სატენდერო კომისიის დასახელება)

მის მიერ_____

_____

(ტენდერის გამოცხადების თარიღი და შესყიდვის ობიექტი)

შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

1. ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
2. უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;
3. ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ.
4. ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი „კონკურენტი“ აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში.
5. მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ა) სატენდერო წინადადების ფასი;

ბ) სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;

გ) სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;

დ) ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომ ელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს.

ე) შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება.

6. სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

_____

(პრეტენდენტის რეკვიზიტები)

_____

(პრეტენდენტის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი, გვარი და ხელმოწერა)

_____

(თარიღი)

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლის შესაბამისად.

დანართი №2

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
(უპირობო საბანკო გარანტია)

ვის:

_____

(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ_____(შემდგომში - „მიმწოდებელი")

(მიმწოდებლის დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი)

_____

(კონკურსის დასახელება)

კონკურსში წარდგენილი თავისი სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთაღნიშნული გარანტია.

ამასთან,დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:

_____

(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

და უპირობოდ ვკისრულობთ ზემოაღნიშნული თანხის გადახდას თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე (არაუგვიანეს 10 საბანკო დღისა), თქვენს მოთხოვნაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის თაობაზე მითითების საფუძველზე, თქვენი მხრიდან მოთხოვნის ან მოთხოვნილი თანხის დასაბუთების საჭიროების გარეშე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია _____

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

_____

_____

_____

(თარიღი)

_____

(მისამართი)

დანართი №4

ხარჯთაღრიცხვა

ზონა№16

გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვა) სამუშაოები

№	სამუშაოს სახეობის დასახელება	ერთ. განზომილება	მოცულობა	ერთეულის ფასი ლარებში	სულ
1	2	3	4	5	6
1	**მიწის ვაკისის მოვლა-შენახვა**				
1	გვერდულების მოშანდაკება	$მ^2$	50,000		
2	გვერდულებზე მასალის დამატება და დატკეპნა	$მ^3$	50		
3	ბალახის გათიბვა	$მ^2$	10,000		
4	კიუვეტების გაწმენდა გრეიდერით	გრძ.მ	30,000		
5	კიუვეტების გაწმენდა გრეიდერით, დატვირთვა და გატანა ნაყარში	$მ^3$	100		
6	კიუვეტების გაწმენდა ხელით ადგილზე გადაყრით	$მ^3$	100		
7	კიუვეტების გაწმენდა ექსკავატორით, დატვირთვა და გატანა ნაყარში	$მ^3$	50		
8	მილების გაწმენდა ხელით, ადგილზე გადაყრით	$მ^3$	50		
9	ჩამონაშალის გაწმენდა ადგილზე გადაყრით	$მ^3$	1,500		
10	ჩამონაშალის გაწმენდა ნაყარში გატანით	$მ^3$	4,000		
11	გვერდულებზე და გზის სავალ ნაწილზე გამონატანების მოგროვება გრეიდერით, დატვირთვა და გატანა ნაყარში	$მ^3$	500		
12	გაბიონების მოწყობა	$მ^3$	10		
2	**ხელოვნური ნაგებობები**				
13	ლითონის მილის მოწყობა d<1.0მ	გრძ.მ.	10		
14	კედლის და სხვა ელემენტების მოწყობა მონოლითური ბეტონით	$მ^3$	50		
15	ხიდის მოაჯირების აღდგენა	ტონა	1		
3	**სავალი ნაწილის მოვლა-შენახვა**				
16	ორმოების შეკეთება ცხელი ასფალტობეტონით სისქით 4 სმ	$მ^2$	1,500		
17	ორმოების შეკეთება ცხელი ასფალტობეტონით სისქით 5 სმ	$მ^2$	2,000		
18	გაცვეთილი და დაბზარული ადგილების შესწორება ცხელი ა/ბეტონის ნარევით სისქით 3სმ	$მ^2$	200		
19	გზის დეფორმირებული და დაზიანებული ადგილების შევსება ცხელი ა/ბეტონის ნარევით	ტონა	350		
20	სავალი ნაწილის შეკეთება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით	$მ^3$	200		
21	სავალი ნაწილის შეკეთება ადგილობრივი ბუნებრივი ღორღოვანი გრუნტით	$მ^3$	2,000		
22	ჩაწყვეტილი ადგილების შევსება გრუნტით	$მ^3$	300		

23	ბზარების შევსება ბიტუმით ან ემულსიით	გრძ.მ	2,000		
24	საფუძვლის მოწყობა ფრაქციული ღორღით	$მ^3$	10		
25	ორმოების შეკეთება ცივი ასფალტბეტონით	ტონა	10		
26	ორმოების შეკეთება გაუღენთვით ემულსიის გამოყენებით, მექანიზირებული წესით	$მ^3$	10		
27	სავალი ნაწილის და ხელოვნური ნაგებობების ცალკეული დაზიანებული ელემენტების შეკეთება ცემენტობეტონით	$მ^3$	5		
28	გზის სავალი ნაწილის გაცვეთილი მონაკვეთების ზედაპირული დამუშავება	$მ^2$	1,000		
29	გზების ყოველდღიური შემოვლა	კაცი/თვე	132		
4	**გზებზე მოძრაობის რეჟიმის რეგულირების ტექნიკური საშუალებების მოვლა-შენახვა**				
30	მოძრაობის ინტენსივობის გათვლები	რაოდენობა	6		
31	საგზაო ნიშნების, ხიდის მოაჯირების და ლითონის თვალამრიდი ძელების შეღებვა	$მ^2$	2,500		
32	მრგვალი საორიენტაციო ბოძკინტების დაყენება	ცალი	10		
33	თვალამრიდი ძელების, პარაპეტების და გზის სხვა ელემენტების გარეცხვა	$მ^2$	500		
34	საგზაო დაფების გარეცხვა	$მ^2$	200		
35	დაზიანებული თვალამრიდი ძელების შეკეთება და აღდგენა	გრძ.მ	20		
36	ბეტონის თვალამრიდი ძელების, პარაპეტების და ბეტონის სხვა ნაკეთობების შეღებვა	$მ^2$	2,500		
37	სტანდარტული ზომის ახალი საგზაო ნიშნების დაყენება	ცალი	20		
38	არასტანდარტული ზომის ახალი საგზაო ნიშნების დაყენება	$მ^2$	15		
39	ახალი საგზაო დაფების დაყენება	$მ^2$	5		
40	კილომეტრის მაჩვენებელი საგზაო ნიშნების დაყენება	ცალი	5		
41	ახალი რკინა-ბეტონის პარაპეტის დაყენება	$მ^3$	40		
42	სიჩქარის შემზღუდავი ხელოვნური ბორცვების მოწყობა	გრძ/მ	20		
43	ახალი ლითონის თვალამრიდი ძელების დაყენება	გრძ/მ	50		
44	საორიენტაციო ბოძკინტებზე შუქამრეკლი აფსკის გაკვრა	ცალი	50		
45	კრონშტეინის (შუქამრეკლი აფსკით) დამაგრება თვალამრიდ ძელებზე და ბეტონის პარაპეტებზე	ცალი	10		
46	ჰორიზონტალური მონიშვნა საღებავით	$მ^2$	1,500		
5	**გზის კუთვნილების კეთილმოწყობა**				
47	ბლოკის წყობით კედლის მოწყობა	$მ^3$	5		
48	სახურავის გამოცვლა თუნუქით (ხის მოლარტყვაზე)	$მ^2$	10		
49	კედლების შელესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით	$მ^2$	10		
50	კედლების შეღებვა საღებავით	$მ^2$	10		
6	**არამოცულობითი სამუშაოები**				
51	ამწე მანქანის მუშაობა	საათი	20		

52	გრეიდერის მუშაობა	საათი	300		
53	კავშირგაბმულობის უზრუნველყოფა	თვე	12		
54	სეზონური (არაზამთრის) მორიგეობა	კაცი/ცვლა	840		
7	**გზისპირა ნარგავების მოვლა-შენახვა**				
55	ხმელი ხეების მოჭრა	ცალი	10		
56	ხის ტოტების გადაბელვა	1 ხე	30		
57	ეკალ-ბარდების და ბუჩქების გაჩეხვა	$მ^2$	1,000		
8	**ზამთრის შენახვა**				
58	ზამთრის მორიგეობა	კაცი/ცვლა	5,500		
59	20%იანი ქვიშა-მარილის ნარევის (ფრაქცია 0-5) მოყრა სავალ ნაწილზე ავტომანქანით (ხელით)	ტონა	2,500		
60	20%იანი ქვიშა-მარილის ნარევის (ფრაქცია 0-5) მოყრა სავალ ნაწილზე მექანიზირებული წესით	ტონა	5,500		
61	ქვიშის მოყრა სავალ ნაწილზე (ფრაქცია 0-5) ავტომანქანით (ხელით)	ტონა	50		
62	თოვლის წმენდა გრეიდერით	საათი	1,500		
63	თოვლის წმენდა ბულდოზერით	საათი	200		
64	თოვლის წმენდა დიდი სიმძლავრის ბულდოზერით	საათი	500		
65	თოვლის წმენდა როტორით	საათი	150		
66	თოვლის წმენდა კ.ს.მ.-ით	საათი	200		
	ჯამი				
	დღგ 18%				
	სულ ჯამი				
	გაუთვალისწინებელი სამუშაოები 5%*				
	მთლიანი ჯამი				

*) აღნიშნული თანხის გამოყენება მოხდება მხოლოდ დამკვეთის (შემსყიდველის) ნებართვის, მისივე ინიციატივით და/ან მიმწოდებლის მიერ დასაბუთებული და არგუმენტირებული წინადადების განხილვისა და შეთანხმების საფუძველზე დამკვეთის (შემსყიდველის) სათანადო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

--- ---

(ხელმოწერა) (თანამდებობა)

_____

(პრეტენდენტის დასახელება)